

სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის

სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებების შესახებ

1. სასწავლო პროცესის ორგანიზების ფორმატი, სწავლება-სწავლის მეთოდი:

საქართველოს უნივერსიტეტის ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლის სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესი ორგანიზებულია შემდეგი სწავლება-სწავლის მეთოდით/ფორმატით: 1) ლექცია; 2) სემინარი; 3) ლაბორატორიული სწავლება; 4) კლინიკურ-პრაქტიკული სწავლება; 5) კურაციული სწავლება;

ლექცია - ლექციის მიმდინარეობისას ხდება ახალი თეორიული მასალის გაცნობა. ლექცია მიზნად ისახავს რაიმე დარგის, სფეროს, საკითხის, მეთოდის და ა.შ. შესახებ მთლიანი და სისტემატიზირებული ინფორმაციის ზეპირსიტყვიერ გადაცემას. ლექციას უძღვება ლექტორი; ლექციის მიზანია სტუდენტს მისცეს მოტივაცია, წახალისოს დამოუკიდებელი და შემოქმედებითი აზროვნებისაკენ; ლექციის ძირითადი ფუნქციაა: ცოდნის გადაცემა, განვითარება, თანამშრომლობა, ორგანიზება;

სემინარი - სემინარი მიზნად ისახავს ლექციაზე დასმული შესასწავლი საკითხის ირგვლივ ცოდნის გაღრმავებას/განმტკიცებას, დისკუსიას და გამოკითხვას. სემინარს უძღვება ლექტორი სტუდენტის/მსმენელის აქტიური ჩართულობით; ლექტორის მითითებით სტუდენტი ან სტუდენტთა ჯგუფი ასრულებს ქვიზს, წარმოადგენს ესეს/„ქეისს“/პრეზენტაციას, ამუშავებს ძირითად და/ან დამატებით ლიტერატურას და სხვ.

ლაბორატორიული სწავლება - ლაბორატორიული სამუშაო გულისხმობს შესაბამისი აპარატურის, მულაჟების, ფანტომების, ინსტრუმენტების, სტომატოლოგიური თუ არასტომატოლოგიური სამუშაო მასალების, რეაქტივების, ბიოლოგიური მასალების, სპეციალიზებული ელექტრონული პროგრამების გამოყენების წესის დაუფლებას, პროცესის დაგეგმვის, მართვისა და შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტაციის მომზადების ეტაპების შესწავლას; მისი მიზანია სტუდენტს მისცეს საშუალება განავითაროს პრაქტიკული უნარებ-ჩვევები. ლაბორატორიული სწავლება შესაძლოა იყოს ჯგუფური და/ან ინდივიდუალური.

კლინიკურ-პრაქტიკული სწავლება - სწავლების აღნიშნულ ფორმატში სტუდენტი ეცნობა სამედიცინო დაწესებულების ფუნქციონირების თავისებურებებს, აკვირდება ექიმის მიერ შესრულებულ პროცედურებს, ანამნეზის შეკრების, დიაგნოზის დასმისა

და მკურნალობის გეგმის შემუშავების პროცესს, ასისტირებას უწევს სპეციალისტს. სტუდენტს საშუალება ეძლევა იყოს პაციენტთან პირისპირი კომუნიკაციის პროცესის მონაწილე, რაც ხელს უწყობს სტუდენტის მიერ პრაქტიკულ-კომუნიკაციური უნარების შექმნასა და განვითარებას. კლინიკურ-პრაქტიკული სწავლება შესაძლოა იყოს ჯგუფური და/ან ინდივიდუალური და გათვალისწინებულია პროგრამის ფარგლებში არსებული არასპეციალიზაციო საგნებისათვის.

კურაციული სწავლება - წარმოადგენს სწავლების მეთოდს, რომელიც ორიენტირებულია თეორიული ცოდნის გაღრმავება-განვითარებასა და პრაქტიკაში გამოყენებაზე, ტექნიკური უნარებისა და პროფესიული ქცევის სხვადასხვა ასპექტების შესწავლაზე. კურაციული სწავლება სტუდენტს საშუალებას აძლევს თეორიულ ცოდნასთან ერთად დინამიკაში, უწყვეტად დააკვირდეს და შეისწავლოს სტომატოლოგიური დაავადების/პაციენტის დიაგნოსტიკებისა და მკურნალობის პროცესი. კურაციული სწავლება მიმდინარეობს კლინიკურ ბაზაზე მცირერიცხოვან ჯგუფებში სტუდენტების ყოველდღიური საათობრივი დატვირთვის შესაბამისად.

2. სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის შეფასების ფორმები/მეთოდები და კრიტერიუმები

- 1) სტუდენტის შეფასება შეიძლება შედგებოდეს ერთი ან რამდენიმე შეფასების კომპონენტისაგან. შეფასების კომპონენტებია: წერიტი, პრაქტიკული, ზეპირი, ელექტრონული, OSCE და სხვა.
- 2) დასკვნითი გამოცდის ჩაბარების მოთხოვნაა მაქსიმალური ქულის სულ მცირე 50%-ის მიღება. იმ შემთხვევაში, თუ დასკვნითი გამოცდა შედგება ერთზე მეტი შეფასების კომპონენტისგან, სტუდენტმა უნდა მიიღოს თითოეული შეფასების კომპონენტის მაქსიმალური ქულის სულ მცირე 50%, რათა გამოცდა ჩაბარებულად ჩაეთვალოს.
- 3) სტუდენტი, რომელმაც ვერ მიიღო დასკვნითი გამოცდის ჩაბარებისათვის დადგენილი მინიმალური ქულა, მაგრამ შუალედური შეფასების კომპონენტების ერთობლიობით (ქვიზი, შუალედური გამოცდა, რეფერატი/პრეზენტაცია) და დასკვნითი გამოცდის ქულით ჯამურად უგროვდება 41-51 ქულა და ზევით, დაიშვება დამატებით გამოცდაზე გადასახადის გარეშე.
- 4) სტუდენტს, დამატებით გამოცდაზე დაშვების შემთხვევაში, აქვს უფლება გადააბაროს დასკვნითი გამოცდის მხოლოდ ის კომპონენტი, რომელშიც ჩაიჭრა (წერა ან პრაქტიკული უნარები, ან ორივე ერთად). საბოლოო შეფასების ფორმირებისას გამოყენებული იქნება თითოეული კომპონენტის უკანასკნელი შეფასება.
- 5) სტომატოლოგიურ კურაციულ საგნებზე გარდა მინიმალური ქულისა გამოცდაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სილაბუსებით დადგენილი სავალდებულო მანიპულაციების შესრულება.
- 6) კურაციების ფინალური გამოცდის პრაქტიკულ კომპონენტში სტუდენტის შეფასებისას საბოლოო ქულა არ მრგვალდება მთელ რიცხვამდე.
- 7) კურაციულ საგნებში ჩაჭრის შემთხვევაში აღდგენა ინიშნება საუნივერსიტეტო კალენდრით გათვალისწინებულ აღდგენა

დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 09 აპრილის N16/21 ოქმით

/გადაბარების კვირაში. პრაქტიკული გამოცდების აღდგენა/გადაბარებასთან დაკავშირებული ინფორმაცია სტუდენტს მიეწოდება UGonline სისტემით.

- 8) სტომატოლოგიურ კურსციულ საგნებში, სტუდენტის მიერ საპატიო მიზეზით ყოველდღიური პრაქტიკის 25%-ის გაცდენის და სავალდებულო მანიპულაციების სრულად არ შესრულების შემთხვევაში (რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს, შესაბამისი პაციენტის არ ყოფნით კურსციულ პერიოდში), სტომატოლოგიის დეპარტამენტის მიერ სტუდენტისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების ფარგლებში, პრაქტიკის აღდგენა ინიშნება სემესტრის განმავლობაში ორჯერ.

3. სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმები

სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმებია: წერითი ქვიზი, რეფერატი, ესე, პრეზენტაცია, შემთხვევის გარჩევა (ე.წ. Case study), პრაქტიკული დავალება, ზეპირი გამოკითხვა და სხვ.

ა) წერითი ქვიზი - წერითი ქვიზი შედგება ღია, დახურული ან/და ჭეშმარიტია/მცდარი ტიპის კითხვებისაგან. წერითი ქვიზი შესაძლებელია გამოყენებულ იქნას როგორც განმავითარებელი, ასევე დასკვნითი შეფასების მიზნით. ორივე შემთხვევაში შეფასების ძირითადი კრიტერიუმებია:

ღია კითხვები:								
#	ინდიკატორი	ფრიადი 100-91%	ძალიან კარგი 90-81%	კარგი 80-71%	დამაკმაყოფილებელი 70-61%	საკმარისი 60-51%	ვერ ჩააბარა 41-50%	ჩიჭრა <40
1.	ფაქტობრივი ცოდნა	ავლენს ძირითადი და მომიჯნავე საკითხების მყარ ცოდნას და წიგნიერებას. ახდენს ცოდნის სრულ სისტემატიზირებას.	ავლენს ძირითადი და მომიჯნავე საკითხების მყარ ცოდნას და წიგნიერებას. ახდენს ცოდნის მეტწილ სისტემატიზირებას.	ავლენს ძირითადი და მომიჯნავე საკითხების მყარ ცოდნას, საჭიროებს მეტ წიგნიერებას. ახდენს ცოდნის ნაწილობრივ სისტემატიზირებას.	ავლენს ძირითადი საკითხების მეტწილ და მომიჯნავე საკითხების არასრულყოფილ ცოდნას. საჭიროებს მეტ წიგნიერებას. ახდენს ცოდნის ნაწილობრივ სისტემატიზირებას.	ავლენს ძირითადი საკითხების მეტწილ და ვერ ავლენს მომიჯნავე საკითხების ცოდნას. საჭიროებს მეტ წიგნიერებას. მეტწილად ვერ ახდენს ცოდნის სისტემატიზირებას.	ავლენს საკითხების ზედაპირულ ცოდნასა და წიგნიერებას. ვერ ახდენს ცოდნის სისტემატიზირებას.	ვერ ავლენს ცოდნას, ან გამოვლენილი ცოდნა საკითხთან არარელევანტური ა.

დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 09 აპრილის N16/21 ოქმით

2.	არგუმენტირებული მსჯელობა	<p>მიზნობრივ საკითხთან დაკავშირებით მსჯელობს ლოგიკურად, თანმიმდევრულად; მკაფიოდ წარმოადგენს ძლიერ არგუმენტებს და კონტრარგუმენტებს.</p> <p>არგუმენტს ამყარებს შესაბამისი მტკიცებულებებით;</p> <p>წარმოადგენს შესაბამის და მკაფიო დასკვნას;</p>	<p>მიზნობრივ საკითხთან დაკავშირებით მსჯელობს ლოგიკურად, თანმიმდევრულად; მკაფიოდ წარმოადგენს ძლიერ არგუმენტებს და კონტრარგუმენტებს.</p> <p>არგუმენტს ამყარებს მეტწილად შესაბამისი მტკიცებულებებით;</p> <p>წარმოადგენს შესაბამის და მკაფიო დასკვნას;</p>	<p>მიზნობრივ საკითხთან დაკავშირებით მსჯელობს ლოგიკურად, თანმიმდევრულად; მკაფიოდ წარმოადგენს ძლიერ არგუმენტებს; უძნელდება კონტრარგუმენტების წარმოჩენა.</p> <p>არგუმენტს ამყარებს მეტწილად შესაბამისი მტკიცებულებებით;</p> <p>წარმოდგენილ შესაბამის დასკვნას აკლია სიცხადე;</p>	<p>მიზნობრივ საკითხთან დაკავშირებით მსჯელობს ლოგიკურად და თანმიმდევრულად; წარმოადგენს საშუალო სიძლიერის არგუმენტებს; უძნელდება ან ვერ წარმოადგენს კონტრარგუმენტებს.</p> <p>არგუმენტს ამყარებს მეტწილად შესაბამისი მტკიცებულებებით;</p> <p>წარმოდგენილ, მეტწილად შესაბამის დასკვნას აკლია სიცხადე;</p>	<p>მიზნობრივ საკითხთან დაკავშირებით მსჯელობა უძნელდება ლოგიკურად და თანმიმდევრულად; უჭირს წარმოაჩინოს არგუმენტები; ვერ წარმოადგენს კონტრარგუმენტს.</p> <p>არგუმენტს ამყარებს მეტწილად შესაბამისი მტკიცებულებებით;</p> <p>წარმოდგენილ, მეტწილად შესაბამის დასკვნას აკლია სიცხადე;</p>	<p>მიზნობრივ საკითხთან დაკავშირებით მსჯელობა მწირია; უჭირს წარმოაჩინოს არგუმენტები; ვერ წარმოადგენს კონტრარგუმენტს.</p> <p>წარმოდგენილია სუსტი მტკიცებულებები.</p> <p>წარმოდგენილი, მეტწილად შესაბამის დასკვნა ბუნდოვანია;</p>	<p>მიზნობრივ საკითხთან დაკავშირებით მსჯელობა არ არის წარმოდგენილი საერთოდ ან არარელევანტური ა.</p> <p>მტკიცებულებები არ არის წარმოდგენილი ან არარელევანტური ა.</p> <p>წარმოდგენილი დასკვნა შეუსაბამო ან საერთოდ არ არის წარმოდგენილი;</p>
----	--------------------------	---	--	---	---	--	--	---

დახურული ტიპის ტესტი/ დახურული კითხვა

1.	პასუხი სწორია	100 %
2.	პასუხი არასწორია	0 %

ჭეშმარიტია/მცდარია ტიპის ტესტები

3.	პასუხი სწორია	100 %
4.	პასუხი არასწორია	0 %

გამოტოვებული ადგილების შევსება

5.	სწორად არის ჩასმული	100%
----	---------------------	------

დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 09 აპრილის N16/21 ოქმით

6.	არ არის სწორად ჩასმული	0%
----	------------------------	----

განსაზღვრება

#	ინდიკატორი	ფრიადი 100-91%	ძალიან კარგი 90-81%	კარგი 80-71%	დამაკმაყოფილებელი 70-61%	საკმარისი 60-51%	ვერ ჩააბარა 41-50%	ჩიჭრა <40
	ფაქტობრივი ცოდნა	წარმოდგენილია სრული და ზუსტი განსაზღვრება, რომელიც ფორმულირებულია მკაფიოდ და ნათლად, შესაბამისი ლექსიკის გამოყენებით;	წარმოდგენილია სრული და ზუსტი განსაზღვრება, რომელიც ფორმულირებულია მეტწილად მკაფიოდ და ნათლად, შესაბამისი ლექსიკის გამოყენებით;	წარმოდგენილია მეტწილად სრული და ზუსტი განსაზღვრება, რომელიც ფორმულირებულია მეტწილად მკაფიოდ და ნათლად შესაბამისი ლექსიკის გამოყენებით;	წარმოდგენილია მეტწილად სრული და მეტწილად ზუსტი განსაზღვრება, რომელიც ფორმულირებულია მეტწილად მკაფიოდ და ნათლად, შესაბამისი ლექსიკის გამოყენებით;	წარმოდგენილია მეტწილად არასრული და მეტწილად დაუზუსტებელი განსაზღვრება. ფორმულირებულია მეტწილად მკაფიოდ და ნათლად, შესაბამისი ლექსიკის გამოყენებით;	წარმოდგენილია ფრაგმენტული განსაზღვრება, რომელიც სრულად მოკლებულია სიზუსტეს; განსაზღვრება არ არის მკაფიო და ნათელი, ფორმულირებულია შეუსაბამო ლექსიკით;	განსაზღვრება არ არის წარმოდგენილი.

დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 09 აპრილის N16/21 ოქმით

ბ) რეფერატი/ესე - მოხსენება, რომელშიც მოცემულია რაიმე საკითხის შესახებ არსებული ლიტერატურის მიმოხილვა/ანალიზი.

№		შეფასების ინდიკატორი	შეფასების კრიტერიუმი	საუკეთესო	საშუალო	წარუმატებელი
<i>შესავალი ნაწილი</i>						
1.	თემის პრობლემატიკა (10%)	პრობლემის აქტუალობა;		პრობლემა აქტუალურია	პრობლემა მეტნაკლებად აქტუალურია	პრობლემა აქტუალური არ არის
2.	მიზანი და ამოცანები (10%)	ა) მიზნის ფორმულირება; (5%)		მიზანი ფორმულირებულია მკაფიოდ და ნათლად;	მიზანი ფორმულირებულა მეტნაკლებად მკაფიოდ და ნათლად;	მიზანი ფორმულირებული არ არის;
		ბ) მიზნისა და მის მისაღწევად დასახული ამოცანების შესაბამისობა; (5%)		მიზანი და ამოცანები შესაბამისია	მიზანი და ამოცანები მეტნაკლებად შესაბამისია	მიზანი და ამოცანები შეუსაბამოა
<i>ძირითადი ნაწილი</i>						
3.	კონცეფტუალური ნაწილი (10%)	კონცეფციის/ფიპოთეზის ჩამოყალიბება;		კონცეფცია/ჰიპოტეზა პასუხობს მიზანს;	კონცეფცია/ჰიპოთეზა მეტნაკლებად პასუხობს მიზანს;	კონცეფცია/ჰიპოთეზა არ პასუხობს მიზანს
4.	მსჯელობითი ნაწილი (18%)	ა) გადმოცემის სისტემურობა, ლოგიკურობა და თანმიმდევრობა; (3%)		მსჯელობა სისტემურია, ლოგიკური და	მსჯელობა მეტნაკლებად სისტემურია,	მსჯელობა არ არის სისტემური, ლოგიკური და თანმიმდევრული;

დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 09 აპრილის N16/21 ოქმით

			<i>თანმიმდევრული;</i>	<i>ლოგიკური და თანმიმდევრული;</i>	
		ბ) ლიტერატურის შერჩევა; (3%)	<i>იყენებს შესაბამის ლიტერატურას;</i>	<i>იყენებს მეტნაკლებად შესაბამის ლიტერატურას;</i>	<i>არ იყენებს შესაბამის ლიტერატურას;</i>
5.		გ) ფაქტების განმარტება /ინტერპრეტირება/ანალიზი; (3%)	<i>წარმოდგენილია ფაქტების განმარტება, ახდენს ინტერპრეტირებას და ანალიზს;</i>	<i>წარმოდგენილია ფაქტების განმარტება მეტნაკლებად; მეტნაკლებად ახდენს ინტერპრეტირებას და ანალიზს;</i>	<i>არ არის წარმოდგენილი ფაქტების განმარტება, ვერ ახდენს ინტერპრეტირებას და ანალიზს;</i>
		დ) კვლევის მეთოდოლოგია; (3%)	<i>კვლევის მეთოდოლოგია შესაბამისია;</i>	<i>კვლევის მეთოდოლოგია მეტნაკლებად შესაბამისია;</i>	<i>კვლევის მეთოდოლოგია შეუსაბამოა;</i>
		ე) მტკიცებულებები; (3%)	<i>იყენებს შესაბამის მტკიცებულებებს;</i>	<i>მეტნაკლებად იყენებს შესაბამის მტკიცებულებებს;</i>	<i>არ იყენებს შესაბამის მტკიცებულებებს;</i>
		ვ) არგუმენტაცია; (3%)	<i>მოჰყავს შესაბამისი და ძლიერი არგუმენტები;</i>	<i>მოჰყავს მეტნაკლებად შესაბამისი და ძლიერი არგუმენტები;</i>	<i>არ მოჰყავს შესაბამისი და ძლიერი არგუმენტები;</i>

დასკვნითი ნაწილი

დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 09 აპრილის N16/21 ოქმით

6.	დასკვნები (12%)	დასკვნ (ებ)ის შესაბამისობა ძირითად ნაწილში წარმოდგენილ კონცეფციასთან/ვიპოთეზასთან.	დასკვნა შეესაბამება კონცეფციას/ვიპოტეზას	დასკვნა მეტნაკლებად შეესაბამება კონცეფციას/ვიპოტეზას	დასკვნა არ შეესაბამება კონცეფციას/ვიპოტეზას
რეფერატის შესრულების წესები, ტექნიკური მხარე					
7.	ა) ნაშრომის სტრუქტურა (10%);	დანართი 1	სტრუქტურა გამართულია;	სტრუქტურა ნაწილობრივ გამართულია;	სტრუქტურა გაუმართავია;
8.	ბ) ნაშრომის მოცულობა (10%);		ნაშრომის მოცულობა შეესაბამება წაყენებულ პირობებს;	ნაშრომის მოცულობა მეტნაკლებად შეესაბამება წაყენებულ პირობებს;	ნაშრომის მოცულობა არ შეესაბამება წაყენებულ პირობებს;
9.	გ) აკადემიური წერის სტილი (APA სტილი) (10%);		შეესაბამება აკადემიური წერის სტილს.	მეტნაკლებად შეესაბამება აკადემიური წერის სტილს.	არ შეესაბამება აკადემიური წერის სტილს.
10.	ენობრივი გამართულობა (10%);		ნაშრომი ენობრივად და სტილისტურად გამართულია;	ნაშრომი ენობრივად და სტილისტურად მეტნაკლებად გამართულია;	ნაშრომი ენობრივად და სტილისტურად გაუმართავია;

გ) პრეზენტაცია - შესწავლილი საკითხის წარმოდგენაა, რომელსაც მოსდევს კითხვები, დისკუსია. შეფასების აღნიშნული მეთოდი ზომავს საკითხის მომზადების დონეს, პრეზენტაციისა და საჯარო გამოსვლის უნარებს, დროისა და აუდიტორიის მართვის უნარს,

დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 09 აპრილის N16/21 ოქმით

№	შინაარსობრივი მხარე 60 %	საუკეთესო	საშუალო	წარუმატებელი
შესავალი ნაწილი (10%)				
1.	წარმოდგენილია საკითხის აქტუალობა, მიზანი და საკითხის შესახებ მეცნიერებაში დაგროვებული ცოდნა; (10 %)			
ძირითადი ნაწილი (40%)				
2.	წარმოდგენილია კონცეფცია, ლოგიკურად/გამოყოფილია სტრუქტურული ელემენტები. კონცეფცია ჩამოყალიბებულია. (10 %)			
3.	წარმოდგენილია ფაქტების განმარტება /ინტერპრეტირება/ანალიზი/კვლევის მეთოდოლოგია. (10 %)			
4.	წარმოდგენილია მტკიცებულებები და არგუმენტები. (20 %)			
დასკვნითი ნაწილი (20 %)				
5.	დასკვნა/დასკვნები შეესაბამება ძირითად ნაწილში წარმოდგენილ ჰიპოთეზას, ახასიათებს ლოგიკური გამომდინარეობა. (10 %)			
6.	მიღებული შედეგის შეჯამებულია/ შეფასებულია. (10 %)			
პრეზენტაბელურობა (30%)				
7.	საუბრობს თავდაჯერებულად, გამართულად, სამეცნიერო ენის გამოყენებით და რეგლამენტის ფარგლებში. (10 %)			
8.	კომუნიკაციას ახდენს აუდიტორიასთან, უზრუნველყოფს მსმენელის ინტერესს. (10 %)			
9.	პრეზენტაციის ვიზუალური მხარე გამართულია, გამოყენებულია ეფექტური ტექნიკები, თვალსაჩინოებები; (10 %)			

დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 09 აპრილის N16/21 ოქმით

დ) შემთხვევის გარჩევა (ე.წ. Case study) - აღნიშნული დავალების მიზანია რთული, რეალისტური სიტუაციების გარჩევა, რომელთა საშუალებით ფასდება სტუდენტის ანალიტიკური, კომპლექსური და სისტემური აზროვნების უნარი. გარდა ამისა, შემთხვევის გარჩევა ავითარებს მოკლე დროში დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღების, გუნდური მუშაობის, ეთიკური კომუნიკაციის, მოქმედებების დაგეგმვისა და შედეგების პროგნოზირების უნარებს. შემთხვევის გარჩევა ხშირად პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებასთან ავლენს მსგავსებას და განსხვავებას, ძირითადად, ორგანიზების ფორმებში მდგომარეობს.

შემთხვევის გარჩევის შეფასების კრიტერიუმები დამოკიდებულია კონკრეტულ ქეისზე და თითოეული სასწავლო კურსით განსაზღვრულ სწავლის შედეგზე. შეფასების კრიტერიუმებს ლექტორი განსაზღვრავს ინდივიდუალურად, რაც შესაფასებელი ცოდნისა და უნარების გათვალისწინებით შესაძლოა ჩაშლილი იყოს რამდენიმე ერთეული ან ათეული ინდიკატორით.

შეფასების კრიტერიუმები უნდა მოიცავდეს შემდეგ ძირითად ინდიკატორებს:

#	ინდიკატორები	ფრიადი 100-91%	ძალიან კარგი 90-81%	კარგი 80-71%	დამაკმაყოფილებელი 70-61%	საკმარისი 60-51%	ვერ ჩააბარა 41-50%	ჩაიჭრა <40
1.	გაცნობიერება	შემთხვევის/ქეისის პირობა სრულად და სწორად არის გაგებული. შემთხვევით/ქეისით დასმული პრობლემა/ამოცანა იდენტიფიცირებულია; ჰიპოთეზა ჩამოყალიბებულია ლოგიკურად და თანმიმდევრულად;	შემთხვევის/ქეისის პირობა სრულად და სწორად არის გაგებული. შემთხვევით/ქეისით დასმული პრობლემა/ამოცანა იდენტიფიცირებულია; ჰიპოთეზა მოითხოვს დაზუსტებას;	შემთხვევის/ქეისის პირობა სწორად და სრულად არის გაგებული. შემთხვევით/ქეისით დასმული პრობლემა/ამოცანა იდენტიფიცირებულია მეტწილად; ჰიპოთეზა მოითხოვს დაზუსტებას;	შემთხვევის/ქეისის პირობა მეტწილად არის გაგებული. შემთხვევით/ქეისით დასმული პრობლემა/ამოცანა იდენტიფიცირებულია ნაწილობრივ; ჰიპოთეზა მოითხოვს დაზუსტებას;	შემთხვევის/ქეისის პირობა ნაწილობრივ არის გაგებული. შემთხვევით/ქეისით დასმული პრობლემა/ამოცანა მეტწილად არ არის იდენტიფიცირებული; ჩამოყალიბებული ჰიპოთეზა მეტწილად არალოგიკური და არათანმიმდევრულია;	შემთხვევის/ქეისის პირობა მეტწილად არ არის გაგებული. შემთხვევით/ქეისით დასმული პრობლემა/ამოცანა იდენტიფიცირებულია ხარვეზით. უძნელდება ან ვერ აყალიბებს ჰიპოთეზას.	შემთხვევის/ქეისის პირობას ვერ გებულობს. შემთხვევით/ქეისით დასმული პრობლემა/ამოცანა იდენტიფიცირებული არ არის. ვერ აყალიბებს ჰიპოთეზას.

დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 09 აპრილის N16/21 ოქმით

2.	ფაქტობრივი ცოდნა	<p>ავლენს ძირითადი და მომიჯნავე საკითხების მყარ ცოდნას და წიგნიერებას.</p> <p>ახდენს ცოდნის სრულ სისტემატიზირებას.</p>	<p>ავლენს ძირითადი და მომიჯნავე საკითხის მყარ ცოდნას და წიგნიერებას.</p> <p>ახდენს ცოდნის მეტწილად სისტემატიზირებას.</p>	<p>ავლენს ძირითადი და მომიჯნავე საკითხის მყარ ცოდნას,</p> <p>საჭიროებს მეტ წიგნიერებას.</p> <p>ახდენს ცოდნის ნაწილობრივ სისტემატიზირებას.</p>	<p>ავლენს ძირითადი საკითხის მეტწილად და მომიჯნავე საკითხის არასრულყოფილ ცოდნას.</p> <p>საჭიროებს მეტ წიგნიერებას.</p> <p>ახდენს ცოდნის ნაწილობრივ სისტემატიზირებას.</p>	<p>ავლენს ძირითადი საკითხის მეტწილად და ვერ ავლენს მომიჯნავე საკითხის ცოდნას.</p> <p>საჭიროებს მეტ წიგნიერებას.</p> <p>ვერ ახდენს ცოდნის სისტემატიზირებას.</p>	<p>ავლენს საკითხის ზედაპირულ ცოდნასა და წიგნიერებას.</p> <p>ვერ ახდენს ცოდნის სისტემატიზირებას.</p>	<p>ვერ ავლენს ცოდნას, ან გამოვლენილი ცოდნა საკითხთან არარელევანტურია.</p>
3.	ანალიტიკური მსჯელობა	<p>მიზნობრივ საკითხთან დაკავშირებით მსჯელობს ლოგიკურად, თანმიმდევრულად; მკაფიოდ წარმოადგენს ძლიერ არგუმენტებს და კონტრარგუმენტებს.</p> <p>არგუმენტს ამყარებს შესაბამისი მტკიცებულებებით;</p> <p>იმუშავებს შემთხვევის/ქეისის შესაბამის და მკაფიო დასკვნას;</p>	<p>მიზნობრივ საკითხთან დაკავშირებით მსჯელობს ლოგიკურად, თანმიმდევრულად; მკაფიოდ წარმოადგენს ძლიერ არგუმენტებს და კონტრარგუმენტებს.</p> <p>არგუმენტს ამყარებს მეტწილად შესაბამისი მტკიცებულებებით;</p> <p>იმუშავებს შემთხვევის/ქეისის შესაბამის და მკაფიო დასკვნას;</p>	<p>მიზნობრივ საკითხთან დაკავშირებით მსჯელობს ლოგიკურად და თანმიმდევრულად; მკაფიოდ წარმოადგენს ძლიერ არგუმენტებს; უძნელდება კონტრარგუმენტების წარმოჩენა.</p> <p>არგუმენტს ამყარებს მეტწილად შესაბამისი მტკიცებულებებით;</p> <p>იმუშავებს შემთხვევის/ქეისის შესაბამის, მაგრამ ნაკლებ მკაფიო დასკვნას;</p>	<p>მიზნობრივ საკითხთან დაკავშირებით მსჯელობს ლოგიკურად და თანმიმდევრულად; წარმოადგენს საშუალო სიძლიერის არგუმენტებს;</p> <p>უძნელდება ან ვერ წარმოადგენს კონტრარგუმენტებს.</p> <p>არგუმენტს ამყარებს მეტწილად შესაბამისი მტკიცებულებებით;</p> <p>იმუშავებს შემთხვევის/ქეისის მეტწილად შესაბამის, მაგრამ ნაკლებად მკაფიო დასკვნას;</p>	<p>მიზნობრივ საკითხთან დაკავშირებით მსჯელობა უძნელდება ლოგიკურად და თანმიმდევრულად; უჭირს წარმოაჩინოს არგუმენტები;</p> <p>უძნელდება ან ვერ წარმოადგენს კონტრარგუმენტს.</p> <p>არგუმენტს ამყარებს მეტწილად შეუსაბამო მტკიცებულებებით;</p> <p>იმუშავებს შემთხვევის/ქეისის მეტწილად შესაბამის დასკვნას, რომელსაც აკლია სიცხადე.</p>	<p>მიზნობრივ საკითხთან დაკავშირებით მსჯელობა მჭირია;</p> <p>უჭირს წარმოაჩინოს არგუმენტები;</p> <p>უძნელდება ან ვერ წარმოადგენს კონტრარგუმენტს.</p> <p>წარმოდგენილია სუსტი მტკიცებულებები.</p> <p>იმუშავებს შემთხვევის/ქეისის მეტწილად შეუსაბამო და ბუნდოვან დასკვნას;</p>	<p>მიზნობრივ საკითხთან დაკავშირებით მსჯელობა არ არის წარმოდგენილი საერთოდ ან არარელევანტურია.</p> <p>მტკიცებულებები არ არის წარმოდგენილი ან არარელევანტურია.</p> <p>იმუშავებს შემთხვევის/ქეისის შესაბამის დასკვნას ან საერთოდ არ არის წარმოდგენილი;</p>

დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 09 აპრილის N16/21 ოქმით

ე) **პრაქტიკული დავალება** - პრაქტიკული დავალების მიზანია შეამოწმოს სასწავლო კურსით გათვალისწინებული პრაქტიკული უნარების დაუფლების ხარისხი და დონე.

დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 09 აპრილის N16/21 ოქმით

კურსი:
 კლინიკური პრაქტიკის კომპონენტი:
 ლაბორატორიული მეცადინეობა
 ჯგუფი N
 თარიღი

#	კომპლექსური შეფასების ინდიკატორები და კრიტერიუმები	ვერ ასრულებს/არ იცის	ასრულებს/იცის, მაგრამ მნიშვნელობანი შეცდომებით. საბოლოო შედეგზე ახდენს გავლენას		ასრულებს/იცის სრულფასოვნად	პირობითი ქულა (მაქს 4)	შეფასების ქულა (მაქს =2)	კომენტარი
სტუდენტი, N		0	1	2	3	4		
1						0	0	
2						0	0	
3						0	0	
4						0	0	
5						0	0	
6						0	0	
7						0	0	
8						0	0	
9						0	0	
10						0	0	
11						0	0	
12						0	0	
13						0	0	
14						0	0	
15							0	
	ლექტორი							

დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 09 აპრილის N16/21 ოქმით

პრაქტიკული კომპონენტში სტუდენტი ფასდება 0-4 ქულიანი სისტემით, სადაც გამოყენებულია შეფასების შემდეგი კრიტერიუმები:

- 0 - ვერ ასრულებს/არ იცის;
- 2 – ასრულებს/იცის, მაგრამ შეცდომებით. შეცდომები შედეგის ხარისხზე ახდენს გავლენას.
- 4 - ასრულებს/იცის სრულფასოვნად;

1 და 3 ნიშნულები და კომენტარები საშუალებას აძლევს პედაგოგს ობიექტურად და გამჭვირვალედ შეაფასოს სტუდენტის მიერ წარმოდგენილი შედეგები.

სტუდენტის ქულის დაანგარიშების ფორმულა: $S/M \cdot E$ - (S გაყოფილი M-ზე და გამრავლებული E-ზე, სადაც S არის გამოცდაზე სტუდენტის მიერ დაგროვებული ქულა, M არის საგამოცდო ამოცანებით სტუდენტის მიერ დასაგროვებელი ქულების მაქსიმალური რაოდენობა, ხოლო - E დასკვნითი გამოცდის პრაქტიკული კომპონენტზე გათვლილი ქულა).

ვ) ზეპირი გამოკითხვა - წარმოადგენს შეფასების ტრადიციულ ფორმას, რომლის მიზანია შეამოწმოს სტუდენტის თეორიული ცოდნის დონე, საკითხის გადმოცემისა და ინტერპერსონალური კომუნიკაციის უნარი. ზეპირი გამოკითხვა შესაძლოა იყოს განმავითარებელი ან შემაჯამებელი შეფასების საშუალება.

შესაბამისად, ის ძირითადად ორი სახისაა: ფორმალური და არაფორმალური. როგორც წესი, ფორმალურ ზეპირ გამოცდად ითვლება დასკვნითი ზეპირი გამოცდა, რომლის დროსაც წინასწარ არის შედგენილი და ცნობილი საგამოცდო საკითხები, დამატებითი პირობები, ადგილი, დრო, გამოცდის ფორმატი და ა.შ. არაფორმალური ზეპირი გამოცდა, როგორც წესი, მიმდინარეობს სემინარებზე, რა დროსაც, გარდა გამოსაკითხი მასალისა, არ არის განსაზღვრული რაიმე დამატებითი პირობა, ადგილი, დრო, ან ფორმატი. ზეპირი გამოკითხვის დროს გამოიყენება თანაბარი სირთულის კითხვა/კითხვები, რომლებიც წარმოდგენილია ბილეთების სახით. თითოეული სტუდენტი შემთხვევითი შერჩევის პრინციპით ირჩევს 1 ბილეთს. არაფორმალური (ანუ სასემინარო გამოკითხვის დროს) პასუხის მოსაფიქრებლად სტუდენტებს ეძლევა 2-3 წუთი, ხოლო ფორმალური (ანუ დასკვნით გამოცდის დროს) პასუხის მოსამზადებლად სტუდენტებს ეძლევა 5 წუთი.

შეფასება ხორციელდება შემდეგი ძირითადი ინდიკატორებით:

#	ინდიკატორები	ფრიალი	ძალიან კარგი	კარგი	დამაკმაყოფილებელი	საკმარისი	ვერ ჩააბარა	ჩიჭრა
		100-91%	90-81%	80-71%	70-61%	60-51%	41-50%	<40

დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 09 აპრილის N16/21 ოქმით

1)	ფაქტობრივი ცოდნა	<p>ესმის საკითხის/კონცეფციის ს/თეორიის/პროცედურის არსი და მნიშვნელობა სრულად.</p> <p>ავლენს ძირითადი და მომიჯნავე საკითხების მყარ ცოდნას და წიგნიერებას.</p> <p>ახდენს ცოდნის სრულ სისტემატიზირებას.</p>	<p>ესმის საკითხის/კონცეფციის /თეორიის/პროცედურის არსი და მნიშვნელობა სრულად.</p> <p>ავლენს ძირითადი და მომიჯნავე საკითხების მყარ ცოდნას და წიგნიერებას.</p> <p>ახდენს ცოდნის მეტწილ სისტემატიზირებას.</p>	<p>ესმის საკითხის/კონცეფციის ს/თეორიის/პროცედურის არსი და მნიშვნელობა მეტწილად.</p> <p>ავლენს ძირითადი და მომიჯნავე საკითხების მყარ ცოდნას, საჭიროებს მეტ წიგნიერებას.</p> <p>ახდენს ცოდნის ნაწილობრივ სისტემატიზირებას.</p>	<p>ესმის საკითხის/კონცეფციის ს/თეორიის/პროცედურის არსი და მნიშვნელობა მეტნაკლებად.</p> <p>ავლენს ძირითადი საკითხის მეტწილ და მომიჯნავე საკითხების არასრულყოფილ ცოდნას.</p> <p>საჭიროებს მეტ წიგნიერებას.</p> <p>ახდენს ცოდნის ნაწილობრივ სისტემატიზირებას.</p>	<p>ესმის საკითხის/კონცეფციის ს/თეორიის/პროცედურის არსი და მნიშვნელობა მეტნაკლებად.</p> <p>ავლენს ძირითადი საკითხის მეტნაკლებ ცოდნას;</p> <p>ვერ ავლენს მომიჯნავე საკითხების ცოდნას.</p> <p>საჭიროებს მეტ წიგნიერებას.</p> <p>ვერ ახდენს ცოდნის სისტემატიზირებას.</p>	<p>მეტწილად არ ესმის საკითხის/კონცეფციის ს/თეორიის/პროცედურის არსი და მნიშვნელობა.</p> <p>ავლენს საკითხის ზედაპირულ ცოდნასა და ზედაპირულ წიგნიერებას.</p> <p>ვერ ავლენს მომიჯნავე საკითხის ცოდნას.</p> <p>ვერ ახდენს ცოდნის სისტემატიზირებას.</p>	<p>საერთოდ არ ესმის საკითხის/კონცეფციის ს/თეორიის/პროცედურის არსი და მნიშვნელობა.</p> <p>ვერ ავლენს ცოდნას;</p>
----	------------------	--	---	--	--	--	---	---

დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 09 აპრილის N16/21 ოქმით

2	არგუმენტირებული მსჯელობა	<p>მიზნობრივ საკითხთან დაკავშირებით მსჯელობს ლოგიკურად, თანმიმდევრულად; მკაფიოდ წარმოადგენს ძლიერ არგუმენტებს და კონტრარგუმენტებს.</p> <p>არგუმენტს ამყარებს შესაბამისი მტკიცებულებებით;</p> <p>წარმოადგენს შესაბამის და მკაფიო დასკვნას;</p>	<p>მიზნობრივ საკითხთან დაკავშირებით მსჯელობს ლოგიკურად, თანმიმდევრულად; მკაფიოდ წარმოადგენს ძლიერ არგუმენტებს და კონტრარგუმენტებს.</p> <p>არგუმენტს ამყარებს მეტწილად შესაბამისი მტკიცებულებებით;</p> <p>წარმოადგენს შესაბამის და მკაფიო დასკვნას;</p>	<p>მიზნობრივ საკითხთან დაკავშირებით მსჯელობს ლოგიკურად, თანმიმდევრულად; მკაფიოდ წარმოადგენს ძლიერ არგუმენტებს;</p> <p>უძნელდება კონტრარგუმენტების წარმოჩენა.</p> <p>არგუმენტს ამყარებს მეტწილად შესაბამისი მტკიცებულებებით;</p> <p>წარმოდგენილ შესაბამის დასკვნას აკლია სიცხადე;</p>	<p>მიზნობრივ საკითხთან დაკავშირებით მსჯელობს ლოგიკურად და თანმიმდევრულად; წარმოადგენს საშუალო სიძლიერის არგუმენტებს;</p> <p>უძნელდება ან ვერ წარმოადგენს კონტრარგუმენტებს.</p> <p>არგუმენტს ამყარებს მეტწილად შესაბამისი მტკიცებულებებით;</p> <p>წარმოდგენილ, მეტწილად შესაბამის, დასკვნას აკლია სიცხადე;</p>	<p>მიზნობრივ საკითხთან დაკავშირებით მსჯელობა უძნელდება ლოგიკურად და თანმიმდევრულად; უჭირს წარმოაჩინოს არგუმენტები;</p> <p>ვერ წარმოადგენს კონტრარგუმენტს.</p> <p>არგუმენტს ამყარებს მეტწილად შეუსაბამო მტკიცებულებებით;</p> <p>წარმოდგენილ, მეტწილად შესაბამის, დასკვნას აკლია სიცხადე;</p>	<p>მიზნობრივ საკითხთან დაკავშირებით მსჯელობა მწირია; უჭირს წარმოაჩინოს არგუმენტები;</p> <p>ვერ წარმოადგენს კონტრარგუმენტს.</p> <p>წარმოდგენილია სუსტი მტკიცებულებები.</p> <p>წარმოდგენილი, მეტწილად შეუსაბამო, დასკვნა ბუნდოვანია;</p>	<p>მიზნობრივ საკითხთან დაკავშირებით მსჯელობა არ არის წარმოდგენილი საერთოდ ან არარელევანტურია.</p> <p>მტკიცებულებები არ არის წარმოდგენილი ან არარელევანტურია.</p> <p>წარმოდგენილი დასკვნა შეუსაბამოა ან საერთოდ არ არის წარმოდგენილი;</p>
3	მოტივირება	<p>არ ესაჭიროება კითხვის დასმა/მოტივირება საკითხთან დაკავშირებული პასუხის სრულყოფილად გასაცემად.</p> <p>პასუხობს დამატებით კითხვებს.</p>	<p>ესაჭიროება მინიმალური რაოდენობის (1-2) კითხვის დასმა/მოტივირება პასუხის სრულყოფილად გასაცემად;</p> <p>პასუხობს დამატებით კითხვებს;</p>	<p>ესაჭიროება გარკვეული რაოდენობის (3-4) კითხვის დასმა/მოტივირება საკითხთან დაკავშირებული მყარი პასუხის გასაცემად;</p> <p>პასუხობს დამატებით კითხვებს;</p>	<p>ესაჭიროება გარკვეული რაოდენობის (3-4) კითხვის დასმა/მოტივირება პასუხის დამაკმაყოფილებლად გასაცემად;</p> <p>პასუხობს დამატებით კითხვების 75%-ს.</p>	<p>ესაჭიროება გარკვეული რაოდენობის (3-4) კითხვის დასმა/მოტივირება საკითხთან დაკავშირებული პასუხის საკმარისად გასაცემად;</p> <p>პასუხობს დამატებით კითხვების 50%-ს.</p>	<p>ესაჭიროება 4-ზე მეტი მნიშვნელოვანი კითხვის დასმა/მოტივირება, რის შემდეგაც იძლევა ფრაგმენტულ/არასრულ პასუხს.</p> <p>პასუხობს დამატებითი კითხვების 25%-ს.</p>	<p>არ და/ან ვერ პასუხობს საკითხთან დაკავშირებულ დასმულ კითხვებს/ მოტივირებას.</p> <p>ვერ პასუხობს დამატებით კითხვებს;</p>

4. კურაციული სწავლების სასწავლო პროცესის ორგანიზაციული თავისებურებები:

კურაციული სწავლება მოიცავს ყოველდღიურ საკონტაქტო დატვირთვას: ლექციასა და კლინიკურ პრაქტიკულ სწავლებებს. კურაციული სწავლების ხანგრძლივობაა 12-18 დღე. კურაციული სწავლების პროცესში სტუდენტის შეფასება ხორციელდება ყოველდღიურად, როგორც თეორიული ცოდნის, ასევე პრაქტიკული უნარების შეფასების მიზნით. პრაქტიკული უნარების შეფასებისათვის გამოიყენება Global rating form-ის საფუძველზე შემუშავებული შეფასების კრიტერიუმები, რომელებიც თითოეული კურაციული საგნისათვის შემუშავდა ინდივიდუალურად, სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების მეტად ობიექტურად შეფასების მიზნით. კურაციული სწავლების პროცესში დაფიქსირებული ყოველდღიური შეფასება ჯამდება და ემატება დასკვნითი გამოცდის ქულას, რაც საბოლოო ჯამში წარმოადგენს სტუდენტის შეფასებას. დასკვნითი გამოცდის აღდგენა დაიშვება მხოლოდ სემესტრის 17-18-19 კვირებში. შუალედური შეფასებები კურაციული სწავლების დროს აღდგენას არ ექვემდებარება.

კურაციული სწავლების ბადე:

№	ECTS მოცულობა	სათობრივი მოცულობა		ხანგრძლივობა კალენდარულ დღეებში	დამოუკიდებელი საათები	გამოცდა						განმავითარებელი (ყოველდღიური) შეფასება	
						რეფერატი /პრეზენტაციით 15 ქულა (15%) რეფერატი 8 ქულა პრეზენტაცია 7 ქულა			ფინალური გამოცდა II ტაპიანი 40 ქულა (40%). (წერითი კომპონენტი 20, ხოლო პრაქტიკული უნარების გამოცდა 20 ქულა.)			შეფასების ფორმა	
						ჩატარების დრო			ჩატარების დრო			წერითი	ზეპირი / პრაქტიკული
						XI დღე	XIII დღე	XVII დღე	XII დღე	XIV დღე	XVIII დღე		
1.	3 ECTS	1	3	12	20	√			√				

დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 09 აპრილის N16/21 ოქმით

კრედიტიანი კურსი	კრედიტიანი საგნები (ა ვარიანტი)											2 ქულა	3 ქულა
2.	3 ECTS კრედიტიანი კურსი (ა ვარიანტი)	2	2	12	20	√			√				
	კრედიტიანი კურსი (ბ ვარიანტი)	2	1										
		1	1										
3.	4 ECTS კრედიტიანი კურსი	1	3	14	36		√			√		2 ქულა	2 ქულა
4.	6 ECTS კრედიტიანი კურსი	1	3	18	61			√			√	1 ქულა	2 ქულა

5. კურსი სწავლების მეთოდით განსაზღვრული სასწავლო დისციპლინებია:

3 ECTS კრედიტიანი კურსი:

- 1) DENT3111 ბავშვთა სტომატოლოგია III (კარიესოლოგია) (კურსი)
- 2) DENT3120 რადიოლოგია (კურსი)
- 3) DENT3130 სამედიცინო ფსიქოლოგია და ფსიქიატრია (კურსი)
- 4) DENT3170 თერაპიული სტომატოლოგია III (ენდოდონტია I ნაწილი) (კურსი)
- 5) DENT3180 ქირურგიული სტომატოლოგია III (ყბა-სახის არადონტოგენური დაავადებები) (კურსი)
- 6) DENT3190 ორთოპედიული სტომატოლოგია III (ფიქსირებული პროთეზირება II ნაწილი) (კურსი)
- 7) DENT3230 ოტორინოლარინგოლოგია (კურსი)
- 8) DENT3240 ფთიზიატრია (ტუბერკულოზი) (კურსი)

დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 09 აპრილის N16/21 ოქმით

- 9) DENT3250 თერაპიული სტომატოლოგია IV (ენდოდონტია II ნაწილი) (კურაციული)
- 10) DENT3260 ქირურგიული სტომატოლოგია IV (საფეთქელ-ქვედა ყბის სახსრის პათოლოგიები) (კურაციული)
- 11) DENT3270 ორთოპედიული სტომატოლოგია IV (ნაწილობრივი მოსახსნელი პროთეზები I ნაწილი) (კურაციული)
- 12) DENT3280 ბავშვთა სტომატოლოგია IV (ენდოდონტია) (კურაციული)
- 13) DENT4110 პედიატრია სტომატოლოგიებისთვის (კურაციული)
- 14) DENT4130 ოფთალმოლოგია (კურაციული)
- 15) DENT4140 ორთოდონტია I (პროპედევტიკა) (კურაციული)
- 16) DENT4150 თერაპიული სტომატოლოგია V (პრეკლინიკური პაროდონტოლოგია) (კურაციული)
- 17) DENT4160 ქირურგიული სტომატოლოგია V (ყბა-სახის ონკოლოგია I ნაწილი) (კურაციული)
- 18) DENT4170 ორთოპედიული სტომატოლოგია V (ნაწილობრივი მოსახსნელი პროთეზები II ნაწილი) (კურაციული)
- 19) DENT4180 ბავშვთა სტომატოლოგია V (პაროდონტის დაავადებები) (კურაციული)
- 20) DENT4210 მძიმე სამედიცინო მდგომარეობის მქონე პაციენტების სტომატოლოგიური მენეჯმენტი (კურაციული)
- 21) DENT4230 ორთოდონტია II (დიაგნოსტიკა და სამკურნალო აპარატები) (კურაციული)
- 22) DENT4270 ბავშვთა სტომატოლოგია VI (პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაავადებები) (კურაციული)
- 23) DENT5130 ორთოდონტია III (ყბა-კბილთა სისტემის ანომალიები და მათი მკურნალობის მეთოდები) (კურაციული)
- 24) DENT5140 თერაპიული სტომატოლოგია VII (ლორწოვანი გარსის დაავადებები I ნაწილი) (კურაციული)
- 25) DENT5150 ქირურგიული სტომატოლოგია VII (პაროდონტოლოგია) (კურაციული)
- 26) DENT5160 ორთოპედიული სტომატოლოგია VII (სრული მოსახსნელი პროთეზირება და ყბა-სახის ორთოპედია) (კურაციული)
- 27) DENT5230 ორთოდონტია IV (მოზრდილთა ორთოდონტიული მკურნალობა) (კურაციული)

4 ECTS კრედიტიანი კურაციული საგნები:

- 1) DENT4240 თერაპიული სტომატოლოგია VI (კლინიკური პაროდონტოლოგია) (კურაციული)

დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 09 აპრილის N16/21 ოქმით

- 2) DENT4250 ქირურგიული სტომატოლოგია VI (ყბა-სახის ონკოლოგია II ნაწილი) (კურაციული)
- 3) DENT4260 ორთოპედიული სტომატოლოგია VI (ნაწილობრივი მოსახსნელი პროთეზები III ნაწილი) (კურაციული)
- 4) DENT5240 თერაპიული სტომატოლოგია VIII (ლორწოვანი გარსის დაავადებები II ნაწილი) (კურაციული)
- 5) DENT5250 ქირურგიული სტომატოლოგია VIII (იმპლანტოლოგია) (კურაციული)
- 6) DENT5260 ორთოპედიული სტომატოლოგია VIII (იმპლანტოლოგია) (კურაციული)

6 ECTS კრედიტიანი კურაციული საგნები:

- 1) DENT5170 ბავშვთა სტომატოლოგია VII (ლორწოვანი გარსის ინფექციები) და ბავშვთა ყბა-სახის ქირურგია I ნაწილი (კურაციული)
- 2) DENT5270 ბავშვთა სტომატოლოგია VIII (ლორწოვანი გარსის ონკოლოგია) და ბავშვთა ყბა-სახის ქირურგია II ნაწილი (კურაციული)